განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

## შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

25 ოქტომბერი, 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

3 დეკემბერი, 2019 წელი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204555524 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო  უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში 020307 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 18.01.2019, №17, პირობითი 1 წლიანი აკრედიტაცია |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პატარაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მაია ბარამიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა მიხელიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო  საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან (ბრძ. #01-01/30 23.05.2012). სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 15 ოქტომბრის №151 გადაწყვეტილებით აღნიშნული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო  საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 18 იანვრის №17 გადაწყვეტილებით აღნიშნულ სამაგისტრო  საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლით.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 25 ოქტომბერს. კოლეგიალურ და მშვიდ გარემოში გაიმართა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირებთან გასაუბრებები, კერძოდ. სასწავლო უნივერსიტეტისა და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთვარებულებთან და ასევე დამსაქმებლებთან. უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ დროულად იქნა მოწოდებული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური შესწავლისა და უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიური და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებების საფუძველზე, ექსპერტმა ჯგუფმა დაადგინა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შემდეგი სახით:

  - პირველი სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეორე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- რეკომენდაციები

  - მოხდეს პროგრამის მიზნების მკაფიოდ ფორმულირება მათი მიღწევადობისა და რელევანტურობის შეფასების გაადვილების მიზნით.

- მოხდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობების ინტეგრირება აღნიშნული უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტაციაში.
- გაიმართოს რელევანტური დოკუმენტაციის შინაარსობრივი/სტილისტური მხარე მათი ხარისხობრივი შეფასების გამარტივების მიზნით.
- სიღრმისეულად იქნას შესწავლილი ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები პროგრამის მიზნების რელევანტურობისა და ბიზნესის სფეროს ტენდენციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
- პროგრამის სწავლის შედეგები გახდეს გაზომვადი და მოხდეს მათი უფრო მეტად დაახლოება საერთაშორისო ბიზნესის სფეროში დასაქმების მოთხოვნებთან.
- შემუშავდეს ქმედითი სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები.
- დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დამდგენი მექანიზმები;
- მოხდეს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა პროგრამის სწავლის შედეგებთან (რელევანტურობა, გაზომვადობა, სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა) მიმართებაში.
- პროგრამის დიზაინის, მიზნების და სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში მოხდეს პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა რელევანტური დაინტერესებული პირების აქტიური ჩართვა პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით;
- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგები სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განსავითარებლად.
- მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის ძირითადი მიგნებების გამოყენება პროგრამის შინაარსის დასახვეწად და შეფასების მეთოდების გასაუმჯობესებლად.
- მოხდეს სპეციალობის შიდა გამოცდის საკითხების დაახლოება პროგრამის საფეხურთან და სპეციფიკასთან;
- მოხდეს უცხო ენის შესაბამისი დონის ადეკვატური გამოცდის ჩატარება;
- მოხდეს ყველა დაინტერესებული პირის, განსაკუთრებით კი დამსაქმებლის და კურსდამთავრებულების, მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამის გადამუშავების პროცესში.
- უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია გახდეს უფრო მეტად ქმედითი და მონაწილეობითი. უფრო აქტიურად მოხდება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა პროგრამის შემუშავება/შემდგომი განვითარების პროცესში.
- გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; მოხდეს უახლესი კვლევის შედეგების, დარგის თანამედროვე მიღწევებისა და სასწავლო მიზნებით გამოსაყენებელი ტექნოლოგიების ინტეგრირება პროგრამის შინაარსში.
- გადაიხედოს სასწავლო კურსების წინაპირობები პროგრამის სასსწავლო კურსების თანმიმდევრობისა და სასწავლო მასალების უკეთ დაძლევის კუთხით.
- გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში უცხო ენის სწავლების საჭიროების საკითხი.
- მოხდეს კურსების ფარგლებში ასათვისებელი სასწავლო მასალების მოცულობის შესაბამისობა სამაგისტრო საფეხურის სწავლებასთან.

- მოხდეს სტუდენტების შეფასების სისტემის მორგება სამაგისტრო საფეხურის სწავლებასთან. ხშირი ტესტური შეფასებები ჩანაცვლდეს ანალიტიკური ესეებითა და სამაგისტრო საფეხურისთვის შესაბამისი დავალებებით.
- მოხდეს სწავლის მეთოდების მორგება სასწავლო კურსის მიზნებთან, სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან.
- მოხდეს სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობის გადახვედა და მისი შესაბამისობა სტუდენტების რეალურ დატვირთვასთან.
- მოხდეს სტუდენტთა შეფასების მორგება კურსის მიზანთან და სწავლის შედეგებთან.
- მოხდეს სილაბუსების შინაარსის გამართვა;
- მოხდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება საერთაშორისო უახლესი სასწავლო/სამეცნიერო ბიზნეს გამოცემებით.
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები გაფორმდეს რელევანტურ საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციებთან.
- გაძლიერდეს სტუდენტთა თემატურ კონფერენციებსა და გამოფენებში ჩართულობის მექანიზმები.
- წახალისდეს სტუდენტთა ჩართულობა აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.
- მოხდეს სწავლა-სწავლების მეთოდების მორგება სასწავლო კურსის საფეხურთან, მიზნებთან, შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სტუდენტების შესაძლებლობებთან (მომზადების კუთხით) და სხვა საჭიროებებთან (საბაკალავრო საფეხურზე მიღებული განათლება/რელევანტური სფეროში პროფესიული/სამეცნიერო გამოცდილება).
- გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.
- დაიგეგმოს აქტივობები სტუდენტებსა და პედაგოგებში ელექტორნული სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- სამაგისტრო პროგრამის მიზნებთან და დასახელებასთან - საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საჭიროა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს უცხო ენის სავალდებულო ცოდნის მოთხოვნა.
- ფაკულტეტის და პროგრამის ხელმძღვანელებმა, ერთისმხრივ, უნდა გააძლიერონ აკადემიური/ მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა საერთაშორისო მიმართულებით; მეორეს მხრივ, პერსონალმა მეტად იაქტიუროს რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის კუთხით.
- იმ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, რომელიც დასკვნის პროგრამულ ნაწილშია აღწერილი, საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევის მიმართვა ხარისხის შეფასების მექანიზმების გასაძლიერებლად.
- მნიშვნელოვანია გარე ექსპერტ-შემფასებლების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში მისი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.
- პროგრამულ ნაწილშია აღწერილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის გაღრმავება ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმების გასაძლიერებლად.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - დამსაქმებლებისა და უცხოური პარტნიორი უსდ-ის წარმომადგენლების აქტიური ჩართვა პროგრამის მიზნების, დიზაინისა და სწავლის შედეგების დახვეწის/გაუმჯობესებისა და ბიზნესის სფეროს ცვალებად ტენდენციებთან უკეთ დაახლოების მიზნით.
  - სასურველია აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირად საქმეებში (CV) უცხო ენის ცოდნა მითითებული იყოს დონეების მიხედვით (A, B, C), სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობით განსაზღვრული უცხო ენის B2 დონესთან შესაბამისობის დასადასტურებლად.
  - მიზანშეწონილია  აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რაც სასურველია გაკეთდეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა აკადემიური დასაქმების ან/და სხვა ახალგაზრდა პროფესიონალების მოწვევის გზით.
  - სასურველია გაღრმავდეს მუშაობა უსდ-ს ცნობადობის ამაღლების კუთხით და განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები ფინანსური მდგრადობის გასაზრდელად სტუდენტთა კონტინგენტის გაფართოების გზით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- უსდ-ს ბაზაზე არსებული სასწავლო ინკუბატორში, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს იმიტაციური თამაშების ლაბორატორია: ,,გთ კონსალტინგი’’. იმიტაციური თამაშების საშუალებით სტუდენტები ეუფლებიან პროფესიულ და პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს; მაგისტრანტებს აქვთ საშუალება შეასრულონ საერთაშორისო ოპერაციებთან/პროექტებთან დაკავშირებული დავალებები, რომელთაც ისინი დამოუკიდებლად ახორციელებენ და ექსპერტებთან (კონსალტინგის წამყვან სპეციალისტებთან) შესაფასებლად წარადგენენ პროექტთან დაკავშირებულ პრეზენტაციებს.

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამის განმეორებითი აკრედიტაციისთვის, პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ძირეული ცვლილებები:

- მოხდა პროგრამის დიზაინის ცვლილება (შეიცვალა სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა; ამოღებულ იქნა 10 კრედიტიანი სამაგისტრო-სასემინარო ნაშრომი; გლობალური მარკეტინგი და კორპორაციის ფინანსები და პორტფელის მართვა გადაკეთდა 10 კრედიტიან საგნად; გადაიხედა/ჩასწორდა სასწავლო კურსების წინაპირობები: საგანს ,,მარკეტინგის მენეჯმენტი“ მოეხსნა „გლობალური ბიზნესი“ როგორც წინაპირობა; სამაგისტრო ნაშრომს დაემატა წინაპირობა „კვლევის თანამედროვე მეთოდები’’ და ასევე მისი მოცულობა განისაზღვრა მინიმუმ 50 გვერდით; საგნები კროს-კულტურული მენეჯმენტი და მოლაპარაკებები მულტიკულტურულ მსოფლიოში გაერთიანდა და ეწოდა კომუნიკაციები და მოლაპარაკებები კროს-კულტურულ მსოფლიოში და ასევე გადავიდა სპეციალობის საბაზისო კურსების არჩევით მოდულში; მოხდა ,,დარგობრივი უცხო ენა III და IV-ის

დამატება; „მოლაპარაკებები მულტიკულტურულ მსოფლიოში" ჩანაცვლდა ,,ცვლილებების მართვა" კურსით, ხოლო ,,ინვესტიციების რეგულირება და მართვა" ლოჯისტიკის საგნით; სამაგისტრო ნაშრომისა და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსებში შეიცვალა შეფასებების კრიტერიუმები; ასევე გადამუშავდა სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი; განახლდა სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა; სპეციალობის არჩევითი კურსების მოდულიდან „მმართველობითი აღრიცხვა და გადაწყვეტილებების მიღება", „ლიდერობა და განვითარება" და „ლოგისტიკა" გადავიდა სპეციალობის სავალდებულო მოდულში, ხოლო „მენეჯერული ეკონომიკა" სპეციალობის საბაზისო არჩევითი კურსებიდან სპეციალობის საბაზისო სავალდებულო მოდულში; არჩევით მოდულებს დაემატა, „პერსონალის სტრატეგიული მართვა", ,,საერთაშორისო პროექტების მართვა"; ,,ინვესტიციების რეგულირება და მართვა", ,,ფინანსური რისკები და სადაზღვევო ბაზარი"; პროგრამის მიზნები გაიწერა კომპეტენციების მიხედვით; საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს დაემატა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა და ასევე საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა; ასევე შეიცვალა კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

- ✓ შედგა სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
- ✓ გაუმჯობესდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების კუთხით საქმიანობა. კერძოდ, სამეცნიერო საკონსულტაციო ცენტრმა („მომავლის მენეჯერი"-,,SCC-MF") ჩაატარა ტრენინგები სტუდენტთა / კურსდამთავრებულთა / სხვა დაინტერესებული პირებისათვის თანამედროვე მენეჯმენტსა და პრაქტიკულ მარკეტინგში. უნივერსიტეტმა ასევე უმასპინძლა ნიკორას დასაქმების ფორუმს.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ○ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია, შეესაბამება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისა და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისიას, მიზნებს, ამოცანებს და მიმართულია დარგობრივი ცოდნისა და ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროგრამის კურიკულუმის/სილაბუსებისა და ინტერვიუების საფუძველზე ვერ დასტურდება, თუ როგორ ხდება თანამედროვე მეცნიერულ, პედაგოგიურ, ტექნოლოგიურ მიღწევებსა თუ პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლების მიწოდება აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები არ ეფუძვნება უახლეს თემატურ სასწავლო/სამეცნიერო მასალებსა და თანამედროვე სწავლების მეთოდებს; ასევე ნაკლებად არის გათვალისწინებული სასწავლო კურსის შესაბამისი საფეხური, სპეციფიკა, შინაარსი და მიზნობრიობა სწავლების მეთოდების/ შედეგებისა თუ სასწავლო მასალის განსაზღვრის კუთხით. დარგობრივი ცოდნისა და ზოგადი/დარგობრივი უნარების აღწერა არ მოიცავს პროგრამის სპეციალობის სავალდებულო საწავლო კურსების მიზნებებისა და სწავლის შედეგების სრულყოფილ ერთობლიობას. ეს ყოველივე კი აძნელებს პროგრამის მიზნების რეალისტურობისა და მიღწევადობის დადგენას. პროგრამა ასევე ეფუძვნება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების ზედაპირულ ანალიზს, ნაკლებად ეხმიანება საერთაშორისო შრომის ბაზრის სწრაფად ცვალებად ტენდენციებსა და გლობალური ბიზნესის მართვის მოთხოვნებს. პროგრამაში ასევე მკაფიოდ არ იკვეთება, თუ რა წილი შეაქვს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს ბიზნესის სფეროსა თუ საზოგადოების განვითარების პროცესებში. კურიკულუმში აღნიშნული საკითხის აღწერა ზოგადია და ნაკლებად არის ბმაში ამ კონკრეტული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

| |
|---|
| ○ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის კურუკულუმი (პროგრამის მიზნები, დარგობრივი ცოდნის და დარგობრივი/ზოგადი უნარების აღწერა) და სილაბუსები;<br>○ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისა და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;<br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის /ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან;<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; |
| რეკომენდაციები:<br><br>○ მოხდეს პროგრამის მიზნების მკაფიოდ ფორმულირება მათი მიღწევადობისა და რელევანტურობის შეფასების გაადვილების მიზნით.<br>○ მოხდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობების ინტეგრირება აღნიშნული უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტაციაში.<br>○ გაიმართოს რელევანტური დოკუმენტაციის შინაარსობრივი/სტილისტური მხარე მათი ხარისხობრივი შეფასების გამარტივების მიზნით.<br>○ სიღრმისეულად იქნას შესწავლილი ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები პროგრამის მიზნების რელევანტურობისა და ბიზნესის სფეროს ტენდენციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ მოხდეს დამსაქმებლებისა და სხვა რელევანტური პირების ჩართვა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ფორმულირების/გადამუშავების/შესაბამისობის დადგენის პროცესში. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში აღწერილია პროგრამის სწავლის შედეგები სპეციალობისთვის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების ჭრილში. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგებისა და პროგრამის კურიკულუმის რუკა. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება ხშირ შემთხვევაში სამაგისტრო საფეხურისთვის შეუსაბამოა ან ბუნდოვანია (მაგ. გლობალური კომპანიების მართვის თანამედროვე მიდგომებისა და მათი წარმართვის თავისებურებათა *აღწერა და ფორმულირება; მეცნიერული ტერმინოლოგიის ფართო გამოყენებით* კონკრეტული პრობლემის გამოკვლევა). ასევე დეტალურად არ არის აღწერილი თუ როგორ ხდება პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენა, ან როგორ ახერხებს სასწავლო კურსები აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას. პროგრამის კურიკულუმი/სილაბუსები არ მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ სძენს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს ავტონომიურობას, ან როგორ უღვივებს პასუხისმგებლობის გრძნობას ცოდნის მიღების პროცესში. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების ანალიზის გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ვერც ინტერვიუების დროს ვერ მოხდა იმის გარკვევა თუ როგორ ხდება კვლევის შედეგების გამოყენება პროგრამის განვითარების კუთხით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის მიზნები და შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის სწავლის შედეგები გახდეს გაზომვადი და მოხდეს მათი უფრო მეტად

| |
|---|
| დაახლოება საერთაშორისო ბიზნესის სფეროში დასაქმების მოთხოვნებთან.<br>○ შემუშავდეს ქმედითი სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები.<br>○ დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დამდგენი მექანიზმები;<br>○ მოხდეს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა პროგრამის სწავლის შედეგებთან (რელევანტურობა, გაზომვადობა, სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა) მიმართებაში.<br>○ პროგრამის დიზაინის, მიზნების და სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში მოხდეს პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა რელევანტური დაინტერესებული პირების აქტიური ჩართვა პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით;<br>○ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგები სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განსავითარებლად.<br>○ მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის ძირითადი მიგნებების გამოყენება პროგრამის შინაარსის დასახვეწად და შეფასების მეთოდების გასაუმჯობესებლად. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, | | | X | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ-ს განსაზღვრული აქვს დაინტერესებულ პირთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამზე დაშვების წინაპირობა რელევანტური, გამჭვირვალე, საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის პროგრამის კურიკულუმისა და სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით: http://gttu.edu.ge/ge/academics/magistratura/program-ma/saertashoriso-biznesis-menedjmenti.<br>სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდისა და უცხო ენის შესაბამის (B2) დონეზე ცოდნის დადასტურების საფუძველზე. თუმცა პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე გაირკვა, რომ მიუხედავად ამისა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა მზაობა ინგლისურ ენაზე თანამედროვე სასწავლო მასალების გამოყენების მიმართ საკმაოდ რეზისტენტულია, რაც ბუნებრივია, ბადებს კითხვებს, თუ რამდენად ადეკვატურად/ზედმიწევნით ხდება პოტენციური სტუდენტების უცხო ენის ცოდნის (B2) დონეზე შეფასება. სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ნიმუშის გაცნობის საფუძველზე ასევე ძნელდება იმის დადგენა, თუ რამდენად არის საგამოცდო საკითხები ლოგიკურ ბმაში სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დასაძლევ მასალასთან ან მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები/პროცედურები);<br>○ გთუნი-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;<br>○ ინტერვიუს შედეგები;<br>○ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის შაბლონი;<br>○ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.gtuni.edu.ge |
| **რეკომენდაციები:**<br><br>მოხდეს სპეციალობის შიდა გამოცდის საკითხების დაახლოება პროგრამის საფეხურთან და სპეციფიკასთან; |

| |
|---|
| მოხდეს უცხო ენის შესაბამისი დონის ადეკვატური გამოცდის ჩატარება;<br>მოხდეს ყველა დაინტერესებული პირის, განსაკუთრებით კი დამსაქმებლის და კურსდამთავრებულების, მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამის გადამუშავების პროცესში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგის საფუძველზე, რომელიც მოიაზრებს პროგრამის შემუშავებისა და გადამუშავების მუდმივმოქმედი ჯგუფის აქტიურ ჩართულობას. უსდ-ს ასევე გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების და მოდიფიცირების წესები.<br>დოკუმემტაციის საფუძველზე აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება მოიცავს შემდეგ ძირითად პროცესებს: შრომის ბაზრის კვლევა, დასაქმების ბაზრის შესწავლა, პროგრამის მიზნობრიობისა და საჭიროების განსაზღვრა, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ზოგადი და დარგობრივი უნარების კლასიფიცირება. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას და დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი |

სპეციალობების და/ან პოზიციების ანალიზს, თუმცა სასურველია აღნიშნული საკითხების შესწავლა მოხდეს უფრო სიღრმისეულად და ფოკუსირდებოდეს არა მხოლოდ ლოკალურ კონტექსტზე, არამედ საერთაშორისო/გლობალური ბიზნესის ამჟამინდელ მოცემულობაზეც. გასაუბრებების და ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ გამოიკვეთა თუ რა ინტენსივობით არიან ჩართულები სტუდენტები, კურსდამთავრებულები ან დამსაქმებლები პროგრამის შემუშავებისა და დახვეწის პროცესებში. პროგრამაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა გააჩნდეთ სხვადასხვა დაინტერესებული პირების მიერ პროგრამის შემუშავებაში/გადამუშავებაში ჩართულობის ამსახველი მტკიცებულებები (მაგ. სამუშაო შეხვედრების ოქმები).
საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ნაწილობრივ ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ინგლისურის ენის B2 დონესთან მიმართებაში, თუმცა სასურველია, პროგრამის ფარგლებში უფრო მეტად მოხდეს ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურის/სასწავლო/სამეცნიერო მასალებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირება, რაც მისცემთ პროგრამის მონაწილეებს თანამედროვე ცოდნასთან და უახლეს სამეცნიერო მიღწევებთან წვდომას.
პროგრამის ამჟამინდელი სტრუქტურა საჭიროებს გადამუშავებას/ხელახალ გააზრებას მისი ლოგიკურობის და თანმიმდევრობის უზრუნველყოფის მიზნით (მაგ. ბიზნესის კვლევის მეთოდების კურსი სასურველია შეთავაზებული იყოს მეორე ან მესამე სასწავლო სემესტრში და დავალებები/შეფასებები მორგებული იყოს სამაგისტრო კვლევითი პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებთან; გლობალური მარკეტინგის გავლამდე სტუდენტებს შეთავაზებული ქონდეთ მარკეტინგის მენეჯმენტი). სასწავლო კურსების წინაპირობები ასევე საჭიროებს გადახედვას, პროგრამის სასწავლო მასალის დაძლევის და სწავლის მიზნებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია გახდეს უფრო მეტად ქმედითი და მონაწილეობითი. უფრო აქტიურად მოხდება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა პროგრამის შემუშავება/შემდგომი განვითარების პროცესში.
გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; მოხდეს უახლესი კვლევის შედეგების, დარგის თანამედროვე მიღწევებისა და სასწავლო მიზნებით გამოსაყენებელი ტექნოლოგიების ინტეგრირება პროგრამის შინაარსში.
გადაიხედოს სასწავლო კურსების წინაპირობები პროგრამის სასსწავლო კურსების თანმიმდევრობისა და სასწავლო მასალების უკეთ დაძლევის კუთხით.
გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში უცხო ენის სწავლების საჭიროების საკითხი.
მოხდეს კურსების ფარგლებში ასათვისებელი სასწავლო მასალების მოცულობის შესაბამისობა სამაგისტრო საფეხურის სწავლებასთან.

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
|---|
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ უსდ-ს ბაზაზე არსებული სასწავლო ინკუბატორში, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს იმიტაციური თამაშების ლაბორატორია: „გთ კონსალტინგი''. იმიტაციური თამაშების საშუალებით სტუდენტები ეუფლებიან პროფესიულ და პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს; მაგისტრანტებს აქვთ საშუალება შეასრულონ საერთაშორისო ოპერაციებთან/პროექტებთან დაკავშირებული დავალებები, რომელთაც ისინი დამოუკიდებლად ახორციელებენ და ექსპერტებთან (კონსალტინგის წამყვან სპეციალისტებთან) შესაფასებლად წარადგენენ პროექტთან დაკავშირებულ პრეზენტაციებს. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის საფუძველზე ძნელდება ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის მიზენბთან და სწავლის შედეგებთან. ზემოთ ხსენებული დოკუმენტაციის შეფასებისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან/ კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე ვერ მოხდა სასწავლო კურსების |

| |
|---|
| შინაარსის, მოცულობისა და სტუდენტების დატვირთვის შესაბამისობის დადგენა პროგრამის ძირითადი თუ არჩევითი კურსების ფარგლებში მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობასთან. ასევე ბუნდოვანია, სხვადასხვა სასწავლო კურსის სილაბუსში ერთი კრედიტისთვის განკუთვნილი საათების ნაირსახეობა, ზოგიერთი საგნის შემთხვევაში - 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს (საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციები), 28 (გლობალური ბიზნესი), 29 (კორპორაციათა ფინანსები და პორტფელის მართვა) ან 30 საათს (ბიზნესის კვლევის მეთოდები). სტუდენტებთან გასაუბრებისას ასევე გაირკვა, რომ მათ გაცილებით ნაკლები დრო ესაჭიროებათ სასწავლო კურსების მასალების/ლიტერატურის შესასწავლად და დავალებების შესასრულებლად, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული სილაბუსების მიხედვით; შესაბამისად, დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული დრო მოსაყვანია უფრო მეტ შესაბამისობაში საგნის სპეციფიკასთან, სირთულესთან და ასათვისებელი მასალის მოცულობასთან თითოეულ სილაბუსში. სტუდენტების შეფასების სისტემა ხშირ შემთხვევაში არ არის შესაბამისობაში სამაგისტრო სწავლების საფეხურთან და ხშირ შემთხვევაში არც სწავლის მეთოდები არ არის მორგებული სასწავლო კურსის მიზნებთან თუ სწავლის შედეგებთან. სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო/დამხმარე ლიტერატურა/ სასწავლო მასალები ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ბიზნესის, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ბიზნესის, აქტუალურ და უახლეს მიღწევებს; ასევე არ ითვალისწინებს უახლეს კვლევებს ბიზნესის მიმართულებით და მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს ბიზნესის სფეროს თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>○ კურიკულუმის რუკა;<br>○ გამოკითხვის შედეგები;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| რეკომენდაციები:<br><br>მოხდეს სტუდენტების შეფასების სისტემის მორგება სამაგისტრო საფეხურის სწავლებასთან. ხშირი ტესტური შეფასებები ჩანაცვლდეს ანალიტიკური ესეებითა და სამაგისტრო საფეხურისთვის შესაბამისი დავალებებით.<br>მოხდეს სწავლის მეთოდების მორგება სასწავლო კურსის მიზნებთან, სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან.<br>მოხდეს სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობის გადახედვა და მისი შესაბამისობა სტუდენტების რეალურ დატვირთვასთან.<br>მოხდეს სტუდენტთა შეფასების მორგება კურსის მიზანთან და სწავლის შედეგებთან.<br>მოხდეს სილაბუსების შინაარსის გამართვა.<br>მოხდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება საერთაშორისო უახლესი სასწავლო/სამეცნიერო ბიზნეს გამოცემებით. |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის/სილაბუსების შესწავლის და გასაუბრებების საფუძველზე ნაკლებად ვლინდება, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს მიმდინარე სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას ან მათ აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ კვლევით პროექტებში ჩართულობას. სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები, რომელიც მეტწილად ტესტური გამოკითხვებით შემოიფარგლება, ნაკლებად უვითარებს სტუდენტებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კრიტიკული/ანალიტიკური აზროვნების ან კვლევით უნარებს. სტუდენტების პრაქტიკის ანგარიშები და სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის ამ კუთხით გასაძლიერებელი აქვს აქტივობები. სასურველია მემორანდუმები/ ხელშეკრულებები სტუდენტებისათვის პრაქტიკის გასავლელად გაფორმდეს არა მხოლოდ |

| |
|---|
| მცირედი ზომის ადგილობრივ კომპანიებთან, არამედ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობისთვის რელევანტურ უცხოურ კომპანიებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინტერვიუს შედეგები;<br>○ პრაქტიკის ანაგარიშები;<br>○ სამაგისტრო ნაშრომები;<br>○ სასწავლო პროგრამის სილაბუსები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>ხელშეკრულებები/მემორანდუმები გაფორმდეს რელევანტურ საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციებთან.<br>გაძლიერდეს სტუდენტთა თემატურ კონფერენციებსა და გამოფენებში ჩართულობის მექანიზმები.<br>წახალისდეს სტუდენტთა ჩართულობა  აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის |

| |
|---|
| შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს კვლევებზე დაფუძვნებული ცოდნის დაგროვება, გადაცემა, გამოყენება და განვითარება. თუმცა სილაბუსებში მოცემული სწავლება-სწავლის მეთოდები ზოგადია და არ არის მორგებული ინდივიდუალური სასწავლო კურსის საფეხურთან, მიზანთან, შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. უნივერსიტეტს გააჩნია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლისას არ ვლინდება, რომ გათვალისწინებულია სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები, განსაკუთრებით კი იმ სტუდენტების, რომელთაც სწავლების წინა საფეხური არ აქვთ გავლილი შესაბამის დარგში/სპეციალობაში. ასევე არ დასტურდება თუ როგორ უზრუნველყოფს შეფასების მეთოდები სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| ○ სილაბუსებსი აღწერილი სწავლება-სწავლის მეთოდები;<br>○ გამოკითხვის შედეგები;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>მოხდეს სწავლა-სწავლების მეთოდების მორგება სასწავლო კურსის საფეხურთან, მიზნებთან, შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სტუდენტების შესაძლებლობებთან (მომზადების კუთხით) და სხვა საჭიროებებთან (საბაკალავრო საფეხურზე მიღებული განათლება/რელევანტური სფეროში პროფესიული/სამეცნიერო გამოცდილება). |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება გთუნი-ს მიერ დადგენილი წესის მიხედვით. შეფასების პროცედურა გამჭირვალეა სტუდენტებისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია. შეფასების სტრუქტურა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას. სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, საიდანაც 60 ქულა ეთმობა მიმდინარე და შუალედურ შეფასებას, ხოლო 40 ქულა დასკვნით გამოცდას. შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. მიღებული შეფასების უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს იგი. გასაუბრების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას და მათ ჯერჯერობით არ დასჭირვებიათ ნაშრომის გასაჩივრება. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადი დასკვნითი შეფასებით კომისიური წესით და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1. პრეზენტაციის სტრუქტურა და ტექნოლოგია (10 ქულა) ; 2. ნაშრომის შინაარსი (30 ქულა); 3.აუდიტორიასთან კონტაქტი (15 ქულა); 4. გამოყენებული მასალა და მისი წარმოდგენა (20 ქულა); 5. კითხვებზე პასუხი, დისკუსია (25 ქულა). ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ შეფასების მხოლოდ 30% მოდის ნაშრომის შინაარსზე. შეფასების სისტემა გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, რომელიც განთავსებულია გთუ-ს ვებგვერდზე. ყოველი სასწავლო კურსის დაწყების წინ ხდება შეფასების სისტემის სტრუქტურის გაცნობა სტუდენტებისთვის; სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ პროგრამა და სილაბუსები;<br>○ სასწავლო პროცესის მარეგილურებელი წესი;<br>○ უნივერსიტეტის ვებგვერდი;<br>○ გასაუბრების შედეგები |

| რეკომენდაციები: |
|---|
| გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | X | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
| --- |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>○ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც სტუდენტური პორტალის (www.gtu.ini.ge) მეშვეობით, აგრეთვე უნივერსიტეტის ვებგვერდის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისაა და პედაგოგებთან საკონსულტაციო შეხვედრების გზით. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით გთუ-ს აკადემიური თანამდებობის მქონე პირის ინდივიდუალურ დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, თუმცა როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს არცერთ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში. გთუ-ს არსებული პროექტებისა და მობილობის შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები იღებენ ინფორმაციებს სხვადასხვა გზების საშუალებით. თვითშეფასების ანგარიშისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე გთუნი სტუდენტების სერვისის გასაუმჯობესებლად პერიოდულად ატარებს სტუდენტების გამოკითხვას და ითვალისწინებს მათ რჩევებსა და რეკომენდაციებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ელექტრონული მართვის სისტემა;<br>○ გასაუბრების შედეგები; |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ |

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა** |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს გთუ-ს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს გთუნი-ს რექტორი. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის არჩევა ხდება სამაგისტრო პროგრამის მეორე წლის პირველი სემესტრის განმავლობაში. თემის შერჩევა კი ხდება გთუ-ს მიერ მიწოდებული საკითხების მიხედვით ან სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე. "სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის" მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება მინიმუმ 5 წევრისგან. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მაგისტრანტის ხელმძღვანელიც. მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესი რეგულირდება "სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის" მიხედვით. |

| |
|---|
| აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია გთუ-ს ვებ-გვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;<br>○ ინტერვიუს შედეგები; |
| **რეკომენდაციები:**<br>დაიგეგმოს აქტივობები სტუდენტებსა და პედაგოგებში ელექტორნული სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მათთან ინდივიდუალუ რი მუშაობა | | | | |

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**
ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| **4.1 ადამიანური რესურსი** |
|---|
| ○ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>○ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>○ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე არსებულ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია 12 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათგან 11 წარმოადგენს აკადემიურ პერსონალს - 7 პროფესორი (6 აფილირებული), 4 ასოცირებული პროფესორი (3 აფილირებული) და 1 მოწვეული ლექტორი. პერსონალის და ჩარიცხულ სტუდენტთა თანაფარდობაა 12/155.<br>აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებს წარმოადგენს: პერსონალის სამუშაო აღწერილობები; საკვალიფიკაციო მოთხოვნები; პროგრამისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების ფუნქციები და მოვალეობები; აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა. ასევე, უსდ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი, რომლებიც განათლების სფეროს მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება.<br>აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის მდგრადობას და დასტურდება 2013-2018 წლების |

| |
|---|
| მონაცემებით.<br>საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას წარმართავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება გააჩნიათ, რასაც ადასტურებს ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის პროფესორ-მასწავლებლების პუბლიკაციები და მათი მონაწილეობა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში და ტრენინგებში. თუმცა, აქვე აღსანიშნავია საერთაშორისო კონფერენეციებში მონაწილეობის და საერთაშორისო პუბლიკაციების დაბალი მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია უცხო ენების არასაკმარისი ცოდნით (დასტურდება მე-17 დანართში წარმოდგენილი გამოკითხვების შედეგებით და ჩატარებული გასაუბრებებით). აღნიშნული გარემოება, ჩვენი აზრით, სრულიად შეუსაბამოა სამაგისტრო პროგრამის, როგორც საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მიზნებთან და დანიშნულებასთან, ამიტომ საჭიროა აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დებულებებში უცხო ენის ცოდნა განისაზღვროს არა როგორ სასურველი, არამედ როგორც სავალდებულო მოთხოვნა.<br>პროგრამის ხელმძღვანელი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი მამუკა თორია, ფლობს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა/გამოცდილებას და უშუალოდ მონაწილეობს სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში.<br>პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის სქემის შემუშავების მეთოდოლოგიით და პერსონალის წლიური ანგარიშებით.<br>მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის პროგრამაში წარმოდგენილი მე-3 დანართი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ პროფესორ-მასწავლებელთა არათანაბარი დატვირთვა. ზოგიერთი მათგანი 3 და მეტ არადაკავშირებულ საგანს ასწავლის, აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის გაზრდა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>○ სამუშაო აღწერილობები<br>○ საკვალიფიკაციო მოთხოვნები<br>○ პროგრამის და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები<br>○ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემის შემუშავების მეთოდოლოგია (დან. 18)<br>○ პროგრამის სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები<br>○ სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები<br>○ პერსონალის და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 17)<br>○ ინტერვიუს შედეგები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>სამაგისტრო პროგრამის მიზნებთან და დასახელებასთან - საერთაშორისო ბიზნესის |

| |
|---|
| მენეჯმენტი - შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საჭიროა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს უცხო ენის სავალდებულო ცოდნის მოთხოვნა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ სასურველია აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირად საქმეებში (CV) უცხო ენის ცოდნა მითითებული იყოს დონეების მიხედვით (A, B, C), სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობით განსაზღვრული უცხო ენის B2 დონესთან შესაბამისობის დასადასტურებლად.<br>○ მიზანშეწონილია აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რაც სასურველია გაკეთდეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა აკადემიური დასაქმების ან/და სხვა ახალგაზრდა პროფესიონალების მოწვევის გზით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
|---|
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის მიზნების განხორციელებისათვის უნივერსიტეტში მოქმედებს საქმიანობის შეფასების პროცედურები როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის. როგორც გასაუბრებიდან დავადგინეთ, შეფასების პროცედურის შემუშავების პროცესში მოხდა უნივერსიტეტის თანამშრომლების წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება.
აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობა ფასდება წლის ბოლოს ფაკულტეტის ხელმძღვანელობისა და/ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილი შეფასების კომისიის მიერ. შეფასების კომისია განიხილავს აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილ წლიურ ანგარიშს, აგრეთვე მათი საქმიანობის ამსახველ სხვა დოკუმენტებს.
ასეთი შეფასების უპირველესი მიზანი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტანდარტების ამაღლების ხელშეწყობაა, ამავდროულად შეფასება აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების სტიმულს წარმოადგენს.
შეფასების შედეგების საფუძველზე ხორციელდება პერსონალის წახალისება/ დაწინაურება, რაც უსდ-ს შინაგანაწესით რეგულირდება და ითვალისწინებს როგორც არამატერიალურ (მადლობის გამოცხადება), ისე მატერიალურ წახალისებას (ფულადი და ფასიანი საჩუქრები) სამსახურებრივ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულებისათვის.
პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტი მრავალფეროვან ღონისძიებებს ახორციელებს, მათ შორის: ტარდება ტრენინგები, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით; აკადემიური/ მოწვეული პერსონალი უსდ-ს სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით იგზავნება სამუშაო მივლინებებში; ასევე, ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია პერსონალის გაგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე; უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებს როგორც პერსონალის, ისე სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით; გარდა ამისა სამეცნიერო/ კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა გულისხმობს ბიუჯეტით გამოყოფილ შესაბამის დაფინანსებას. მიუხედავად ამისა, როგორც გამოკითხვები და გასაუბრება ადასტურებს, სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონე საკმაოდ დაბალია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. (დანართი 13);
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ–გვერდი: http://www.gtuni.edu.ge.

**რეკომენდაციები:**

ფაკულტეტის და პროგრამის ხელმძღვანელებმა, ერთისმხრივ, უნდა გააძლიერონ აკადემიური/ მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა საერთაშორისო მიმართულებით; მეორეს მხრივ, პერსონალმა მეტად იაქტიუროს რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის კუთხით.

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებამ ცხადყო, რომ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი გარემოთი: შენობა–ნაგებობები ჩართულია ცენტრალური გათბობის სისტემაში; კომპიუტერულ კლასებში, ლაბორატორიები და ადმინისტრაციის ოთახებში დამონტაჟებულია ელექტრო კონდიცირების სისტემა; სველ წერტილები განლაგებულია ყველა სართულზე; ფუნქციონირებს კაფეტერია; შენობა აღჭურვილია სიგნალიზაციით და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების საშუალებებით; სართულების მიხედვით გამოკრულია ევაკუაციის სქემები; უსდ ფლობს შესაბამისად აღჭურვილ სამედიცინო კაბინეტს და ჰყავს შტატით გათვალისწინებული ექიმი; წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს 32 გარე და შიდა მეთვალყურეობის კამერა, ასევე, დაცვის სამსახურის შტატით გათვალისწინებული ექვსი დარაჯი.<br>უნივერსიტეტი აღჭურვილია სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. სპეციალური პანდუსები და მოწყობილობები შეღწევადს ხდის როგორც უნივერსიტეტის ძირითადი შენობის აუდიტორიებს და სველ წერტილს, ასევე ბიბლიოთეკას.<br>სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით: სასწავლო მერხებით, დაფებით, |

| |
|---|
| მაგიდებით, სკამებითა და ტექნიკით. 24 აუდიტორია აღჭურვილია სტაციონარული ვიდეოპროექტორით. აკადემიური პერსონალისათვის პერსონალური კომპიუტერების მოხმარება ორგანიზებულია კაბინეტებში, ხოლო სტუდენტთათვის - კომპიუტერულ კლასებში (4 კომპიუტერული კლასი); კომპიუტერები ჩართულია უნივერსიტეტის ერთიან ქსელში, რაც მათ მომხმარებლებს როგორც ტექნიკური, ისე პროგრამული რესურსებისა და ინტერნეტის ერთობლივი გამოყენების საშუალებას აძლევს; უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს უსადენო ინტერნეტის ქსელი (WiFi), რომელიც უზრუნველყოფილია სს "სილქნეტი" და შპს "ახალი ქსელები"-ის ინტერნეტ მომსახურებით. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს უნივერსიტეტის ინოვაციური ლაბორატორია "გთ კონსალტინგი", რომელიც აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკითა და საბანკო, ტურისტული, მარკეტინგული და ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების პროგრამული უზრუნველყოფით.<br>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. სასწავლო მასალები განთავსებულია სპეციალურად სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილ ვებ-გვერდზე, ასევე შიდა ქსელში ორგანიზებულ ელექტრონული სწავლების სისტემის - Moodle პორტალზე. გარდა ამისა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული მართვის სისტემის ერთი მოდული "ელექტრონული ჟურნალი".<br>უსდ-ში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომა (EBSCO-ს პაკეტში შემავალი 11 ბაზით და და ELSEVIER-ის მონაცემთა ბაზებით).<br>შერჩევითი შემოწმებით დასტურდება, რომ ბიბლიოთეკის ფონდი (ბეჭდური და ელექტრონული სახით) შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას.<br>უნივერსიტეტის შენობებში დაცულია სანიტარული და ზოგადი სისუფთავის ნორმები. სტუდენტების გადაადგილების დასახმარებლად „სადგურის მოედნის“ მეტროდან ფუნქციონირებს ავტობუსი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება;<br>○ საბიბლიოთეკო, სპეციალური და ტექნიკური რესურსები;<br>○ სს "სილქნეტი" - ხელშეკრულება; შპს "ახალი ქსელები" - ხელშეკრულება;<br>○ ელექტრონული სწავლების ვებ-გვერდი: http://moodle.gtuni.edu.ge.<br>○ ელექტრონული ონლაინ პლატფორა http://www.gttu.ini.ge/<br>○ ინტერვიუების შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>"გთ კონსალტინგი“ |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან. პროგრამის ბიუჯეტირება ხორციელდება სტრატეგიული, ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და მიმდინარე მოთხოვნების შესაბამისად.<br>ფაკულტეტის ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, სამეცნიერო კვლევების განხორციელებისთვის ნაწილობრივ ან მთლიან დაფინანსებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას. პროგრამის ბიუჯეტი ასახული შემოსავლები უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ (დანართი 14);<br>○ ფაკულტეტის ბიუჯეტი;<br>○ პროგრამის ბიუჯეტი;<br>○ ინტერვიუს შედეგები ფაკულტეტის და პროგრამის ადმინისტრაციასთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია გაღრმავდეს მუშაობა უსდ-ს ცნობადობის ამაღლების კუთხით და განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები ფინანსური მდგრადობის გასაზრდელად სტუდენტთა კონტინგენტის გაფართოების გზით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის წესდების, ნორმატიული და სამართლებრივი აქტების საფუძველზე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, ასევე, ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად.<br>ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია შეფასების შემდეგი პროცედურები და მექანიზმები - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს დაინტერესებულ მხარეებთან, რისთვისაც შემუშავებულია კითხვარები (იხ. დანართი 17). უსდ გეგმავს გამოკითხვების ჩატარებას იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.<br>ამგვარად, სამაგისტრო პროგრამის სრულყოფისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეთა (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები) ჩართულობა დასტურდება შრომის ბაზრის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროების კვლევით.<br>გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონკრეტულ რეკომენდაციებს შეიმუშავებს სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით, რაც ასევე დასტურდება ჩატარებული კრებების ოქმებით.<br>გაწეული მუშაობის მიუხედავად, პროგრამა საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას (იხ. სტანდარტები 1, 2) და სრული შესაბამისობის უზრუნველყოფას, მათ შორის პროგრამის მიზნების |

| |
|---|
| და სწავლის შედეგების თანხვედრის თვალსაზრისით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია (დანართი 8);<br>○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი 18);<br>○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი (დანართი 17);<br>○ კვლევები და კითხვარები (დანართი 17);<br>○ პროგრამის განვითარების ანალიზი (დანართი 17);<br>○ სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში (დანართი 17);<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა (დანართი 17);<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 17);<br>○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება (დანართი 17);<br>○ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები (დანართი 17);<br>○ ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>იმ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, რომელიც დასკვნის პროგრამულ ნაწილშია აღწერილი, საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევის მიმართვა ხარისხის შეფასების მექანიზმების გასაძლიერებლად. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმის სახით იყენებს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნებს და წარმოადგენს მათში მოცემული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების ჩამონათვალს. ასევე, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია აღწერილი, პერიოდულად ხდება სამაგისტრო პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან; პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.<br>როგორც გამოვლენილი პროგრამული ხარვეზები ცხადყოფს, აღნიშნული ღონისძიებები საკმარისი არ არის და ვერ უზრუნველყოფენ სამაგისტრო პროგრამის მაღალ ხარისხს.<br>ამ ეტაპზე პროგრამას არ ჰყავს საერთაშორისო შემფასებელი, რაც ხელს შეუწყობდა პროგრამის განვითარება/სრულყოფას და რომლის მოპოვების შესაძლებლობასაც იძლევა უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები (დანართი 17);<br>○ ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>მნიშვნელოვანია გარე ექსპერტ-შემფასებლების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში მისი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება უსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით.<br>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული მხარე, რაც დასტურდება ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე.<br>ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სემესტრულად აწარმოებს სტუდენტთა გამოკითხვას აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესახებ. გამოკითხვის შედეგებს ეცნობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პერსონალს ინდივიდუალურ რეჟიმში აცნობენ კვლევის შედეგებს. სტუდენტები კითხვარებით ასევე აფასებენ სასწავლო კურსებს, სასწავლო პროცესსა და საბიბლიოთეკო რესურსებს.<br>პერიოდული მონიტორინგი აკადემიური ნაწილის მიმართულებით ხორციელდება აკადემიური/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის (სწავლებისა და კვლევის კომპონენტები) მიხედვითაც. დატვირთვის სქემა შემუშავებულია ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ამ სქემის მიხედვით პერსონალი რეგულარულად წარადგენს ანგარიშებს<br>შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება პროგრამის მოდიფიცირების უზრუნველსაყოფად, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამა ისევ საჭიროებს გადამუშავებას სრული შესაბამისობის მისაღწევად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები (დანართი 17);<br>○ კვლევები და გამოკითხვები (დანართი 17);<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>პროგრამულ ნაწილშია აღწერილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის გაღრმავება ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმების გასაძლიერებლად. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |
| ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | X | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | X | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | X | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | X | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო პატარაია

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა მაია ბარამიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ანა მიხელიძე